



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 87
10/09/2018

87-04-4-201809101459



„ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინის, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 31.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 აგვისტოს №82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 აგვისტოს №82 განკარგულებაში და :

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინის, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ”

ბ) განკარგულების პრემბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინა, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინა და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2018 წლის 17 აგვისტოს №976/02 წერილით ითხოვს აღნიშნული საცხოვრებელი ბინების, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე

შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინის, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის არსებულ ბინებზე საკუთრების რეგისტრაციას.“

გ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინა, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინა და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინა, დანართი №1-ის მიხედვით, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით.“

დ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-20, 21-ე და 22-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


20	საცხოვრებელი ბინა №1	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	62,20	21.03.32.071.01.001	მუნიციპალური
21	საცხოვრებელი ბინა №16	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	59,21	21.03.32.071.01.016	მუნიციპალური
22	საცხოვრებელი ბინა №32	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	70,80	21.03.32.071.01.032	მუნიციპალური

2. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე